ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №42

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 06 სექტემბერი 2013 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება.
2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;
5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *სსიპ-საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიასა* (შემდგომში „შემსყიდველი“)
მდებარე ქ. თბილისი გოძიაშვილის ქ. №65
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **სსიპ „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო-ს** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მდებარე ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. №67
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის მიერ 19 (ცხრამეტი) ერთეული სტანდარტის/ინსტრუქციის (CPV22472000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2. შესყიდვის კონკრეტული ობიექტია შემდეგი სტანდარტები: ISO 6887- 1; ISO 6887-3; ISO 6887-4; ISO 6887-5; ISO 11290–1; ISO 15213, ISO 12846:2012, ISO 6561-2, ISO 6732, ISO 9526, ISO 6637; ISO 7952, ISO 17239; ISO 661; EN 13804; EN 13806; EN 14082; EN 14084; EN 14546.

4. ხელშეკრულების ღირებულება

1. შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **2172.00** (ორი ათას ასსამოცდათორმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
2. ერთეულის ღირებულება განსაზღვრული და დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 15 აგვისტოს მიღებული დადგენილებით. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს თითოეული სტანდარტის დარეგისტრირების ღირებულებას დამატებული გვერდების რაოდენობის თანხა (გვერდების რაოდენობას + 100 ლარი) ლარს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების პირობები და მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტები ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე.
4. „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას: უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;

6. მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონლის მიწოდება დასტურდება მხარეთა შორის შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებით.

2. მიღება-ჩაბარების აქტს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს „შემსყიდველის“ სათანადოდ უფლებამოსილი პირი, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან – მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

2. ანარიშსწორება მოხდება მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული საქონლის ღირებულება წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში.

3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე მინიმუმ 5 (ხუთი) დღით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
4. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

15. დავების გაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 20 ოქტომბრამდე.
2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორია

გივი მერაბიშვილი

დირექტორის მ.შ.

სს „საქართველოს ბანკი"
ბ. კოდი BAGAGE22
ანგ. №GE65BG0000000215279500
საიდ. კოდი 205162802

მიმწოდებელი:

სსიპ საქართველოს სტანდარტების და
მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დავით ტყემალაძე

ადმინისტრაციული ტექარტამენტის დირექტორი

სს „საქართველოს ბანკი"
ბ. კოდი BAGAGE22
ანგ. №GE50BG0000000119413700
საიდ. კოდი 2001622224